მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. 11 აგვისტო (ტელეგრაფით).

ტაშკენტელი მაყურებლები დიდი ინტერესით ელოდნენ თბილისის დინამოელთა გამოსვლას მათს სტადიონზე. ეს ინტერესი გასაგებია. ჩვენ არ გვენახა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი – თბილისის "დინამო" და მისი საუცხოო ფეხბურთელები.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით:

"დინამო" – კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

"პახტაკორი" – კლიმოვი, აზიზხიხოჯაევი, ტაჯიროვი, სუიუნოვი, ტაზეტდინოვი, ბირიუკოვი, ტიმოხინი, სტადნიკი, კრასნიცკი, ფეოფანოვი, ბელიაკოვი.

ორივე გუნდს დაცვაში ერთნაირი ძირითადი ამოცანა ჰქონდა: მოწინააღმდეგის ყველზე სახიფათო თავდამსხმელის ნეიტრალიზება. დინამოელთათვის ეს ამოცანა ნათელი იყო – მათ საგანგებო მეთვალყურე უნდა მიეჩინათ კრასნიცკისათვის და ყველაფერი დანარჩენი იოლი მოსაგვარებელი იყო. ეს ასეც მოხდა: ზეინკლიშვილმა შეძლო დაკისრებული ფუნქციების შესრულება. ამავე დროს მესხი მარცხენა ფრთაზე ჩაკეტილ იქნა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ თბილისელებს თავდასხმაში ძლიერი ფორვარდების სრული კომპლექტი ჰყავთ და ამიტომ მესხის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა სრულიადაც არ ნიშნავდა დაცვის პრობლემის გადაჭრას. "დინამო" მთელი ფრონტით აწარმოებდა შეტევას და თუ მას შედეგი არ მოჰყოლია, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათივე ბრალია. არ შეიძლება ასეთი "გულგრილობით" მოეპყრა კარის წინ შექმნილ მომენტებს. დინამოელები კარგავდნენ ბურთის გატანის უაღრესად ხელსაყრელ შესაძლებლობებს.

"პახტაკორს" გაცილებით ნაკლები შანსი ჰქონდა გაეხსნა ანგარიში, მაგრამ მან გამოიყენა ეს მცირე შანსიც კი და ბელიაკოვმა ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი – 1:0.

მეორე ტაიმში თამაში იგივე სიტუაციაში მიმდინარეობდა და დინამოელები კვლავ ვერ იყენებდნენ თავიანთ დიდ უპირატესობას. ბოლოს მელაშვილმა უძლიერესი დარტყმით გაქვითა გოლი, ხოლო მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კალოევმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი. დინამოელებმა გაიმარჯვეს – 2:1.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი მოიგეს ტაშკენტელებმა – 2:0.

ბ. კურუმოვი, ტაშკენტი.
"ლელო", 14 აგვისტო, 1960 წ.